საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/24

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ხელოვნების უნივერსიტეტის მისიაა:

- უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- რეგიონში[1] დაიკავოს კულტურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში/სფეროებში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ადგილი და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას.“

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**